



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 565

04 09 2017წ.

ქ. თბილისი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის ვადის განსაზღვრისა და სპეციალური ანკეტა - კითხვარის ფორმის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის სამმართველოს უფროსის 2017 წლის 31 აგვისტოს №999146 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 05 სექტემბრის №111/ნ ბრძანების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის (შემდგომში - ანკეტა) ცენტრში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2017 წლის 06 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით.
2. დამტკიცდეს ანკეტა - კითხვარის ფორმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული მხარეებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი



თამარ სანიკიძე